ოქმი:**ო08. 3723166001**

თარიღი:**15/06/2023**

ოქმი № 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2023 წელი, 14 ივნისი

ქ.ოზურგეთი

12.30 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, ნ. ურუშაძე,ნ. მახარაძე. თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, გ. ჩავლეშვილი, ბ. კილაძე, გ. შილაკაძე, ბ. ქათამაძე, გ. კილაძე, ალ. ბურჭულაძე, პ. სალუქვაძე, პ. კიღურაძე,

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანია“-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხოლო პროექტის კონკრეტულ ცვლილებებზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუჯეტი იზრდება 7 მილიონ ლარზე მეტით და მიაღწია ისტორიულ ნიშნულს- 70 მილიონ 273 ათას ლარს, შემდეგ კონკრეტულად ისაუბრა იმ მუხლებსა და პროგრამებზე, სადაც გადანაწილდა დამატებითი თანხები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კომისიის დარგების შესაბამის მუხლებსა

და პროგრამებს, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი განკარგულების პროექტი“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანია“-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“, ვრცლად პროექტზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე